## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულებაN19

2015 წლის 6 თებერვალი

ქ.დუშეთი

**„დუშეთის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდით დასაფინანსებელი პრიორიტეტული პროექტების ნუსხის შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კანონის 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების და “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 63-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გადაწყვიტა**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „დუშეთის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდით დასაფინანსებელი პრიორიტეტული პროექტების ნუსხის შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 ნოემბრის N 93 განკარგულებაში. კერძოდ, განკარგულების N1 დანართის სახით დამტკიცებულ „დუშეთის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდით დასაფინანსებელი პრიორიტეტული პროექტების ნუსხას“ დაემატოს შემდეგი შინაარსის $19^1$ სტრიქონი:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| $19^1$ | 8.3.5 | 8.3.5.2 | ქ.დუშეთისბაზრისრეაბილიტაცია | *ამპრობლემისმოგვარებამნიშვნლოვნადგააუმჯობესებსრაიონისცენტრალურისავაჭროობიექტისგარემო-პირობებს, გაზრდისმოსახლეობისკმაყოფილებისდონეს, გაუმჯობესდებასანიტარულიპირეობები. გაიზრდებაქ.თბილისიდანსავაჭროდჩამომსვლელთარიცხვი, რადგანაცმათსაშუალებაექნებათთანამედროვე, მოწესრიგებულ, სუფთაგარემოშინატურალურიპროდუქციისშესყიდვა. (ამჟამადესრიცხვიყოველკვირეულად 100 ადამიანამდეა). გაუმჯობესდებაბაზარშიგაყიდულიპროდუქციისსანიტარულიპირობები.* | | 150,000 | |

2. N1 დანართით დამტკიცებულ „დუშეთის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდით დასაფინანსებელი პრიორიტეტული პროექტების ნუსხის“ მე-20 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20 | სულრგფპ | | | | | 12503200 | | | | | | 3,746,100 | | | 4,125,800 | | | 4,631,300 | | | |

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ლაფანაშვილი